

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი  
კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი

## გოდერძი ჯობაძე

აპლიკანტების შერჩევისა და რანჟირების სისტემა ფაზი-ლოგიკის  
და ხელოვნური ნეირონული ქსელების გამოყენებით

სამაგისტრო პროგრამა: საინფორმაციო სისტემები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საინფორმაციო სისტემებში  
მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

ზურაბ ქოჩლაძე გამოყენებითი ინფორმატიკის  
კათედრის ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2017

## ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ინტელექტუალური სისტემების ამოცანები, რომელიც დაისვა ერთ-ერთ სოციალურ ვებ-სისტემაზე მუშაობისას. ნაშრომში აღწერილია მრავალკრიტერიალური გადაწყვეტილების მიღების სისტემა, სხვადასხვა ფაზი-ოპერატორები და გადაწყვეტილების მიღების ბიბლიოთეკა php-ზე, რომელიც სპეციალურად ამ ვებ-სისტემისთვის შეიქმნა.

ნაშრომის შემდეგ ნაწილში იგეგმება ხელოვნური ნეირონული ქსელით, ვებ-სისტემის მომხმარებლების მრავალკრიტერიალური კლასიფიკაცია.

## Annotation

In this thesis work have been discussed the problems of intellectual systems, which were introduced while creating one of the social web systems. In the mentioned thesis work has been demonstrated and described the system of multi criteria decision-making library on PHP, which has specifically been created for the mentioned web system.

The further part of the thesis work will be dedicated to multi criteria classification of web system user using Artificial Neural Network.

## შინაარსი

თავი I. ფაზი-სიმრავლეები .....	10
კლასიკური სიმრავლეები .....	11
ფაზი-სიმრავლეები .....	13
თავი II. მიკუთვნების ფუნქციები .....	15
Z - მაგვარი და S-მაგვარი მიკუთვნების ფუნქციები.....	20
$\pi$ –მაგვარი მიკუთვნების ფუნქციები.....	22
ზღურბლოვანი ფუნქციები.....	23
მიკუთვნების ფუნქციის არჩევა აპლიკანტთა შერჩევის ამოცანისთვის.....	23
თავი III. აპლიკაციათა რანჟირება.....	28
აგრეგატული ფუნქციები .....	28
აგრეგატული ფუნქციების ძირითადი კლასები .....	30
აგრეგატული ფუნქციების ძირითადი თვისებები .....	31
აგრეგატული ფუნქციის შერჩევა .....	32
თავი IV. გადაწყვეტილების მიღების სისტემის პროგრამული        იმპლემენტაცია.....	36
გადაწყვეტილების მიღების ბიბლიოთეკა .....	36
სისტემის მუშაობის სიმულირება .....	39
დასკვნა .....	67
გამოყენებული ლიტერატურა:.....	68

## შესავალი

ნაშრომში განხილულია ინტელექტუალური სისტემების ამოცანები, რომელიც დაისვა ერთ-ერთ სოციალურ ვებ-სისტემაზე მუშაობისას. იგი წარმოადგენს ონლაინ პორტალს, რომლის ზოგადი მიზანია ერთმანეთთან დააკავშიროს დამსაქმებელი და სამსახურის მაძებარი ადამიანები. ამ ტიპის სისტემები ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად, რადგან ამ პრობლემის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ისაა, რომ სამუშაოს მსურველი ადამიანები ვერ პოულობენ მათთვის საინტერესო და დამაკმაყოფილებელ სამსახურს და პირიქით - დამსაქმებლები ვერ პოულობენ სასურველ კადრს. ასეთი იდეა არ არის ახალი, თუმცა ინტელექტუალურ სისტემებთან სინთეზით, იგი გახდება გაცილებით უფრო ნაყოფიერი და შედეგიანი. ხელოვნური ინტელექტის ამოცანების ჩამოყალიბებამდე აღვწერ პორტალის ზოგად, ძირითად ფუნქციონალს:

- *ვაკანსიის რეგისტრაცია*

მომხმარებელს საშუალება ექნება დაარეგისტრიროს ვაკანსია, როგორც ორგანიზაციამ, ან როგორც კერძო პირმა, დეტალური აღწერითა და მიმოხილვით, ასევე დაურთოს სასურველ მოთხოვნები, რომლითაც მომავალში უნდა მოხდეს ვაკანსიით დაინტერესებული კანდიდატების შეფასება.

- *აპლიკაციის გაგზავნა ვაკანსიაზე*

მომხმარებელს შეეძლება მოძებნოს ვაკანსია და გაგზავნოს აპლიკაცია, მიუთითოს მონაცემები საკუთარი გამოცდილების და შესაძლებლობების შესახებ, ვაკანსიის მოთხოვნების შესაბამისად.

- *მომხმარებლების კლასიფიკაცია*

სისტემა რეგისტრაციისას შეყვანილი მონაცემების მიხედვით (როგორცაა აკადემიური, ან სამუშაო ისტორია), მოახდენს მომხმარებლების კლასიფიკაციას წინასწარ შეთანხმებული სტატუსების მიხედვით (პირობითად ავიღოთ შემდეგი სტატუსები: „ახალბედა“, „გამოუცდელი“, „გამოცდილი“, „პროფესიონალი“).

- *ვაკანსიაზე ხელსაყრელი აპლიკანტის შერჩევა*


სისტემას შეეძლება ვაკანსიის ავტორს ურჩიოს ამ ვაკანსიაზე დარეგისტრირებულ აპლიკანტებს შორის, მოთხოვნების შესაბამისად, ხელსაყრელი აპლიკანტები.

- *მომხმარებლისთვის საინტერესო ვაკანსიების შერჩევა*

სისტემა მომხმარებელს შესთავაზებს მისთვის სავარაუდოდ საინტერესო ვაკანსიებს, რომელთა შერჩევასაც მოახდენს მომხმარებლის მიერ წარსულში ნანახი ვაკანსიებისა და აკადემიური და სამუშაო ისტორიის მიხედვით.

სისტემის ზოგადი ფუნქციონალის აღწერით უკვე იკვეთება კონკრეტული ამოცანები, რომლებშიც შესაძლებელია, ინტელექტუალური სისტემების ტექნოლოგიების ჩართვა. მაგალითად, ავიღოთ *ვაკანსიისთვის ხელსაყრელი აპლიკანტის შერჩევა*; ეს ნამდვილად კარგი გამოწვევა იქნება ფაზი-ლოგიკაში, როგორც მრავალკრიტერიალური გადაწყვეტილების მიღების ამოცანა. კრიტერიუმები ვაკანსიის ავტორის მიერ დადგენილი მოთხოვნები იქნება, რომელთაც ექნებათ მათემატიკური დამუშავებისთვის ხელსაყრელი ფორმა, რასაც სისტემის დეველოპერი უზრუნველყოფს. ხოლო გადაწყვეტილების მიზანი იქნება მოცემული კრიტერიუმებით ვაკანსიაზე დარეგისტრირებული აპლიკაციების რანჟირება და მიღებული შეფასებების მიხედვით, ლოგიკური სორტირება.

ზოგადი წარმოდგენისთვის, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა შევხედოთ სისტემას მონაცემთა ბაზის კუთხით, რათა ნათელი გახდეს აპლიკაციების ფაზი-დამუშავების პროცესი. სანამ აპლიკაციების დამუშავებაზე გადავალთ, განვიხილოთ ის მთავარი ცხრილები, რომლებიც უშუალოდ ვაკანსიისა და მოთხოვნილი გამოცდილებების შენახვას ემსახურება. ამისთვის გვაქვს ორი ცხრილი `job_posting` და `experience`, რომლებსაც



ველები job\_posting ცხრილიდან:

- n\_employees - ვაკანტური ადგილების რაოდენობა
- position - ვაკანტური პოზიციის დასახელება

ველები experience ცხრილიდან:

- name - მოთხოვნილი გამოცდილების დასახელება (მაგალითად, ასაკი, გამოცდილება, პროგრამირების ენების რაოდენობა და ა.შ)
- min\_value, max\_value - შესაბამისად, მოთხოვნილი გამოცდილების მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები.
- job\_posting\_id - გარე გასაღები, რომელიც „გამოცდილების“ ცხრილს აკავშირებს „ვაკანსიის“ ცხრილთან
- priority - გამოცდილების პრიორიტეტი. გამოხატავს იმას, თუ რამდენად პრიორიტეტულია მოთხოვნილი გამოცდილება ვაკანსიის ავტორისათვის. გამოიხატება ნამდვილი რიხვებით [0,1] შუალედიდან.

მონაცემების ვიზუალიზაციისათვის გამოვიყენოთ json ფორმატი, რადგან სისტემის ბირთვი იწერება ვებ-სერვისებზე და json-ი ვებ-სერვისებით ინფორმაციის მიმოცვლის ერთ-ერთი გავრცელებული და ხშირად გამოყენებადი ფორმატია. სწორედ ამ ფორმატში მოვიყვანოთ მაგალითი, რომელიც წარმოადგენს ვაკანსიის ავტორის მიერ, ვებ-სერვისისთვის გაგზავნილ, გამოცდილების დამატების მოთხოვნას:


```

"experience": [
  {
    "name": "პროგრამირების ენების რაოდენობა",
    "min_value": 3,
    "max_value": 9,
    "priority": "0.9"
  },
  {
    "name": "ინტელექტუალურ სისტემებზე მუშაობის გამოცდილება (წელი)",
    "min_value": 1,
    "priority": 1
  },
  {
    "name": "ასაკი",
    "min_value": 19,
    "max_value": 30,
    "priority": 0.3
  }
]

```

რაც ნიშნავს, რომ ვაკანსიის ავტორს სურს, აპლიკანტი ფლობდეს 3-დან 9-ის ჩათვლით პროგრამირების ენებს, ჰქონდეს ინტელექტუალურ სისტემებზე მუშაობის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება და იყოს 19-დან 30 წლამდე. მოთხოვნილი „გამოცდილებების“ პრიორიტეტები priority ველშია მითითებული.


გვაქვს კიდევ ორი მნიშვნელოვანი ცხრილი, რომელიც უკვე აპლიკაციით დაინტერესებულ მომხმარებლებს ემსახურება. ესენია application და application\_experience ცხრილები, რომლებიც შესაბამისად აღნიშნავს, უშუალოდ აპლიკაციას და მოთხოვნილი „გამოცდილებების“ შესაბამის მნიშვნელობებს. ამ ცხრილების job\_posting და experience ცხრილებთან ბმაში, სრული სურათი ასეთია:



application ცხრილს ძალიან მარტივი სტრუქტურა აქვს, იგი მხოლოდ და მხოლოდ აფიქსირებს იმ მომხმარებელს, რომელმაც აპლიკაცია გაგზავნა, იმ ვაკანსიას, რომელზეც გაგზავნა და გაგზავნის ზუსტ დროს. მომავალში, შესაძლებელია ამ ცხრილის ინფორმაციულად გამრავალფეროვნება, თუმცა ამ ეტაპზე, მოცემული ამოცანისთვის, ასეთი ტრივიალურობაც საკმარისია. application\_experience - ცხრილი application და experience ცხრილების ერთგვარი მაკავშირებელია. ამ ცხრილის მეშვეობით, მომხმარებელი აფიქსირებს ვაკანსიის ავტორის მიერ მოთხოვნილი „გამოცდილებების“ მნიშვნელობებს.

მაგალითისთვის, კონკრეტული მნიშვნელობები განვიხილოთ ზემოთ მოცემული, „გამოცდილებების“ მიხედვით კვლავ json ფორმატში:





ეს ნიშნავს რომ აპლიკანტმა იცის შვიდი პროგრამირების ენა, აქვს ინტელექტუალურ სისტემებზე მუშაობის ორწლიანი გამოცდილება და არის ოცდასამი წლის.

ქვემოთ განვიხილავ ფაზი-ლოგიკის ელემენტებსა და სხვადასხვა ევრისტიკულ მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება მრავალკრიტერიალური გადაწყვეტილების მიღების ამოცანებში. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვახდინოთ ვაკანსიაზე დარეგისტრირებული აპლიკაციები წარმოვადგინოთ, როგორც ფაზი-სიმრავლე, რომლის მიკუთვნების ხარისხი ვაკანსიის ავტორის მიერ დასმული მოთხოვნების მიხედვით განისაზღვრება.

## თავი I. ფაზი-სიმრავლეები

ფაზი, ანუ არამკაფიო სიმრავლის ცნების შემოღება მოხდა მას შემდეგ, რაც კლასიკური სიმრავლეთა თეორია, გარკვეულ შემთხვევებში, ვერ ერგებოდა ადამიანურ, არამკაფიო აზროვნებას. –რა არის არამკაფიო აზროვნება? –ისეთი განსაზღვრებები და მიმართებები, რომელთა შინაარსი გასაგებია, თუმცა მოკლებულია მათემატიკურ სიზუსტეს. მაგალითად, მოცემული გვაქვს ორი წინადადება: „A აპლიკანტმა გადალახა სამუშაო გამოცდილების ორწლიანი ზღვარი“ და „B აპლიკანტის სამუშაო გამოცდილება, საშუალებას გვაძლევს, რომ იგი პროფესიონალად ჩავთვალოთ“. პრიველი წინადადება მკაფიოა, გვაქვს მხოლოდ ორი ვარიანტი, აპლიკანტს შესაძლოა ჰქონდეს ორ წელზე მეტი სამუშაო გამოცდილება, ან - არა; ხოლო მეორე წინადადება ძალიან ბუნდოვანია, რადგან შეუძლებელია პროფესიონალიზაციისთვის საკმარისი სამუშაო გამოცდილების განსაზღვრა, ანდა საერთოდაც შესაძლებელია, სამუშაო გამოცდილებით ადამიანის პროფესიონალიზაციის შეფასება?! ეს უკანასკნელი წინადადება გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის აპლიკანტის პროფესიონალიზაციაზე, თუმცა შეუძლებელია, ზუსტად განვსაზღვროთ მისი რეალური შესაძლებლობები. სწორედ ასეთი მომენტები ამცირებენ კლასიკური სიმრავლეთა თეორიის შესაძლებლობებს რეალურ სიტუაციებთან მიმართებაში.

ფაზი-სიმრავლეთა თეორია შემოთავაზებულ იქნა ცნობილი ამერიკელი ინფორმატიკოსის, ლოტფი ზადეს მიერ. იგი საშუალებას გვაძლევს, ხარისხობრივად აღწეროთ ჩვენი ცოდნის არაზუსტი ცნებები, რომლებიც, თავის მხრივ, აღწერენ გარემომცველ სამყაროში მიმდინარე რთულ პროცესებს. მიუხედავად თავისი უნივერსალობისა, ამ თეორიის საფუძველი მაინც კლასიკური სიმრავლეთა თეორიაა, ამიტომ ჯერ განვმარტავ კლასიკური სიმრავლეთა თეორიის იმ ძირითადელებს, რომლებიც ფაზი-სიმრავლეთა უშუალო საფუძველს წარმოადგენს.

## კლასიკური სიმრავლეები

- მიკუთვნება

ვთქვათ,  $A$  სიმრავლე  $E$  სიმრავლის ქვესიმრავლეა.

$$A \subset E$$

ავიღოთ  $x$  ელემენტი  $E$ -დან ( $x \in E$ ). რა შეიძლება ვთქვათ  $x$  ელემენტის შესახებ,  $A$  სიმრავლესთან მიმართებაში? ცხადია, გვაქვს ორი ვარიანტი,  $x$  ან ეკუთვნის  $A$  სიმრავლეს, ან – არა. ზემოთ მოყვანილ მაგალითს თუ გავიხსენებთ,  $x$  ელემენტი აპლიკანტად შეგვიძლია, მივიჩნიოთ, ხოლო  $E$  სიმრავლე იქნება იმ აპლიკანტთა სიმრავლე, რომელთაც ორ წელზე მეტი სამუშაო გამოცდილება აქვთ. ეს ფაქტი შეგვიძლია გამოვხატოთ მახასიათებელი ფუნქციით  $\mu_A(x)$ , რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$\mu_A(x) = \begin{cases} 1, & x \in A \\ 0, & x \notin A \end{cases}$$

განვიხილოთ სასრული, ხუთელემენტური სიმრავლე  $E = \{x_1, x_2, x_3, x_4, x_5\}$  და მისი სამელემენტური ქვესიმრავლე  $A = \{x_2, x_3, x_5\}$ . დავადგინოთ კუთვნილების ხარისხი თითოეული ელემენტისთვის  $A$  სიმრავლიდან  $E$  სიმრავლესთან მიმართებაში.

$$\mu_A(x_1) = 0, \mu_A(x_2) = 1, \mu_A(x_3) = 1, \mu_A(x_4) = 0, \mu_A(x_5) = 1$$

ეს საშუალებას გვაძლევს, წარმოვადგინოთ  $A$  სიმრავლე  $E$  სიმრავლის ელემენტების კუთვნილების ფუნქციებით შემდეგნაირად:

$$A = \{(x_1, 0), (x_2, 1), (x_3, 1), (x_4, 0), (x_5, 1)\}$$

ამ შემთხვევაში,  $A$  სიმრავლე წყვილების სიმრავლეა. წყვილის პირველი ელემენტი მოცემული სიმრავლის ელემენტია, ხოლო მეორე – მოცემულ ელემენტზე მიკუთვნების ფუნქციის შედეგი.

- შებრუნებული სიმრავლე

გავიხსენოთ ბულის ალგებრა; დავუშვათ,  $\bar{A}$  არის  $A$ -ს დამატება  $E$ -ში, რაც ნიშნავს შემდეგს:

$$\bar{A} \cap A = \emptyset \text{ და } \bar{A} \cup A = E$$

აქედან გამომდინარე, თუ  $x \in A$  მაშინ  $x \notin \bar{A}$ , რაც შეიძლება მიკუთვნების ფუნქციით ასე ჩაიწეროს:

$$\mu_A(x) = 1 \text{ და } \mu_{\bar{A}}(x) = 0$$

ჩავწეროთ მიკუთვნების ფუნქციები  $\bar{A}$ -სთვის:

$$\mu_{\bar{A}}(x_1) = 1, \mu_{\bar{A}}(x_2) = 0, \mu_{\bar{A}}(x_3) = 0, \mu_{\bar{A}}(x_4) = 1, \mu_{\bar{A}}(x_5) = 0$$

წყვილების სიმრავლე ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\bar{A} = \{(x_1, 1), (x_2, 0), (x_3, 0), (x_4, 1), (x_5, 0)\}$$

- თანაკვეთა და გაერთიანება

განვიხილოთ ორი სხვადასხვა  $A$  და  $B$  სიმრავლეების თანაკვეთის შემთხვევა ( $A \cap B$ ). ჩავწეროთ შესაბამისი მიკუთვნების ფუნქციები:

$$\mu_A(x) = \begin{cases} 1, x \in A \\ 0, x \notin A \end{cases}, \mu_B(x) = \begin{cases} 1, x \in B \\ 0, x \notin B \end{cases}, \mu_{A \cap B}(x) = \begin{cases} 1, x \in A \cap B \\ 0, x \notin A \cap B \end{cases}$$

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, ჩავწეროთ:

$$\mu_{A \cap B}(x) = \mu_A(x) \otimes \mu_B(x)$$

სადაც  $\otimes$  ოპერაცია წარმოადგენს ბულის ნამრავლს. ანალოგიურად,  $A$  და  $B$  სიმრავლეების გაერთიანების შემთხვევაში:

$$\mu_{A \cup B}(x) = \begin{cases} 1, x \in A \cup B \\ 0, x \notin A \cup B \end{cases}, \mu_{A \cup B}(x) = \mu_A(x) \oplus \mu_B(x)$$

სადაც  $\oplus$  ბულის ჯამია.

$\otimes$	0	1
0	0	0

1	0	1
---	---	---

$\oplus$	0	1
0	0	1
1	1	1

### ფაზი-სიმრავლეები

დავიწყოთ მაგალითით. განვიხილოთ ზემოთ მოყვანილი  $A$  და  $E$  სიმრავლეები. წინა შემთხვევაში  $E$  სიმრავლის ხუთივე ელემენტიდან თითოეული ეკუთვნოდა, ან არ ეკუთვნოდა  $A$  სიმრავლეს, ხოლო მიკუთვნების  $\mu_A$  ფუნქცია, შესაბამისად, იღებდა 0 და 1 მნიშვნელობებს. ახლა კი წარმოვიდგინოთ, რომ მიკუთვნების ფუნქციას შეუძლია, მიიღოს ნებისმიერი ნამდვილი მნიშვნელობა  $[0,1]$  შუალედიდან. რაც, იდეურად იმას ნიშნავს, რომ  $x_i$  ელემენტი გარკვეული დონით ეკუთვნის  $A$  სიმრავლეს. მაგალითისთვის, ამ შემთხვევაში, ზემოთ მოყვანილი მეორე წინადადება ავიღოთ, რომლის მიხედვითაც  $A$  სიმრავლე უკვე პროფესიონალი აპლიკანტების სიმრავლე იქნება და ეს სიმრავლე ლოგიკურად ისეთი ბუნდოვანი სიმრავლეა, რომ ელემენტი ( აპლიკანტი ) შეიძლება გარკვეული დონით ეკუთვნოდეს, ან არ ეკუთვნოდეს მას.

დავუშვათ,  $\tilde{A} = \{(x_1 | 0.2), (x_2 | 0), (x_3 | 0.3), (x_4 | 1), (x_5 | 0.8)\}$ . სადაც  $x_i$  არის  $E$  სიმრავლის ელემენტი, ხოლო რიცხვი ვერტიკალური ხაზის მარჯვნივ, წარმოადგენს კუთვნილების ხარისხს.  $A$  სიმრავლეს კი  $E$  სიმრავლის ფაზი-სიმრავლე (არამკაფიო ქვესიმრავლე) ეწოდება და ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\tilde{A} \subset E \text{ ან } A \tilde{\subset} E$$

ფაზი-სიმრავლეების ელემენტების მიკუთვნების ხარისხები კი ასე ჩაიწერება:

$$x \underset{0.2}{\in} \tilde{A}, y \underset{1}{\in} \tilde{A}, z \underset{0}{\in} \tilde{A}$$

ვთქვათ  $x \in E$ , მაშინ  $E$  სიმრავლის  $A$  ფაზი-სიმრავლე ეწოდება დალაგებულ წყვილებს  $\{(x | \mu_{\tilde{A}}(x)), \forall x \in E$ , სადაც  $\mu_{\tilde{A}}(x)$   $x$ -ის მიკუთვნების ხარისხია და  $x \xrightarrow{\mu_{\tilde{A}}} [0,1]$ .

ვთქვათ,  $\tilde{A}$  და  $\tilde{B}$   $E$  სიმრავლის ფაზი-სიმრავლებია.

- ქვესიმრავლე

ვიტყვიან, რომ  $\tilde{A}$  ფაზი-სიმრავლე ქვესიმრავლეა  $\tilde{B}$  ფაზი სიმრავლისა, თუ  $\forall x \in E: \mu_{\tilde{A}}(x) \leq \mu_{\tilde{B}}(x)$  და აღინიშნება:  $\tilde{A} \subset \tilde{B}$ .

- ტოლობა

ვიტყვიან, რომ  $\tilde{A}$  ფაზი-სიმრავლე ტოლია  $\tilde{B}$  ფაზი სიმრავლისა, თუ  $\forall x \in E: \mu_{\tilde{A}}(x) = \mu_{\tilde{B}}(x)$  და აღინიშნება  $\tilde{A} = \tilde{B}$ .

- დამატება

ვიტყვიან, რომ  $\tilde{A}$  და  $\tilde{B}$  ფაზი-სიმრავლეები ერთმანეთის დამატებები არიან  $E$  სიმრავლეში, თუ  $\forall x \in E: \mu_{\tilde{A}}(x) = 1 - \mu_{\tilde{B}}(x)$  და აღინიშნება:  $\tilde{\tilde{A}} = \tilde{B}$  და  $\tilde{\tilde{B}} = \tilde{A}$ .


- თანაკვეთა

$\tilde{A} \cap \tilde{B}$  ნიშნავს, რომ  $\forall x \in E: \mu_{\tilde{A} \cap \tilde{B}}(x) = \text{MIN}(\mu_{\tilde{A}}(x), \mu_{\tilde{B}}(x))$ .

- გაერთიანება

$\tilde{A} \cup \tilde{B}$  ნიშნავს, რომ  $\forall x \in E: \mu_{\tilde{A} \cup \tilde{B}}(x) = \text{MAX}(\mu_{\tilde{A}}(x), \mu_{\tilde{B}}(x))$ .

ფაზი სიმრავლე შეგვიძლია, გამოვხატოთ ვიზუალურადაც. ამისათვის ავიღოთ ჩვეულებრივი, სწორკუთხოვანი კოორდინატა სისტემა. აბსცისთა ღერძზე ავიღოთ  $E$  სიმრავლე, ხოლო ორდინატა ღერძზე  $E$  სიმრავლის ელემენტთა მიკუთვნების ხარისხები.



დამტრიხული ზონა წარმოადგენს  $\tilde{A}$  ფაზი-სიმრავლეს.

## თავი II. მიკუთვნების ფუნქციები

მიკუთვნების ფუნქცია წარმოადგენს ისეთ ფუნქციას, რომელიც აფასებს თუ „რამდენად ეკუთვნის“ მოცემული ელემენტი მოცემულ სიმრავლეს. მიკუთვნების ფუნქციის შერჩევა დამოკიდებულია ამოცანის სემანტიკასა და ფორმალურად განსაზღვრულ ფაზი-სიმრავლეზე, თუმცა ეს ფაქტი არ ზღუდავს კონკრეტული მიკუთვნების ფუნქციის შერჩევის თავისუფლებას. მაგრამ პრაქტიკაში უფრო მოსახერხებელია ისეთების გამოყენება, რომლების უშვებენ ანალიზურა წარმოადგენას რომელიმე მარტივი ფუნქციის სახით. არსებობს მიკუთვნების ფუნქციების სხვადასხვა ტიპი; განვიხილავ რამდენიმე მათგანს და ვიზუალიზაციისათვის გამოვიყენებ პროგრამირების ენა **python**-ს.


- **Python ბიბლიოთეკები (Scipy)**

**Scipy** არის Python-ის open-source მათემატიკური ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება რამდენიმე მოდულისაგან და მოიცავს ტექნიკურ მეცნიერებათა ძირითად დარგებს, როგორცაა მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერება, არქიტექტურა და ა.შ. ამ მოდულთაგან ერთ-ერთია **scikit-fuzzy**, რომელიც შეიცავს ფაზი-ლოგიკის ალგორითმებს, ფუნქციებს და სხვადასხვა ხელსაწყოებს. გამოვიყენებთ **matplotlib**-ს რომელიც გვაძლევს ორგანოზომილებიანი და სამგანზომილებიანი გრაფიკების აგებისა და სხვადასხვა ვიზუალურ-მათემატიკური ანალიზის შესაძლებლობას. ასევე გვაქვს **numpy** მოდული, იგი ფუნდამენტური სამეცნიერო-მათემატიკური გამოთვლებისთვის იდეალურია **Scipy**-ში.


- **ნაწილობრივ წრფივი მიკუთვნების ფუნქციები**

ნაწილობრივ წრფივი მიკუთვნების ფუნქციები ისეთი, ფუნქციებია, რომლებიც შედგებიან წრფივი ხაზების სეგმენტებისაგან და ქმნიან უწყვეტ, ან ნაწილობრივ-უწყვეტ ფუნქციას. ასეთი ფუნქციების ყველაზე დამახასიათებელ მაგალითს წარმოადგენენ „სამკუთხა“ და „ტრაპეციული“ მიკუთვნების ფუნქციები. მაგალითისთვის, შევარჩიოთ  $X = [0,10]$  უნივერსუმი, რომლის სახით წარმოვადგინოთ ნამვილ რიცხვთა ჩაკეტილი ინტერვალი.

სამკუთხა



ტრაპეციული



ამ

ფუნქციათაგან პირველი ფუნქცია, ზოგად შემთხვევაში შეიძლება, მოცემული იყოს შემდეგი გამოსახულებით:

$$f_{\Delta}(x, a, b, c) = \begin{cases} 0, & x \leq a \\ \frac{x-a}{b-a}, & a \leq x \leq b \\ \frac{c-x}{c-b}, & b \leq x \leq c \\ 0, & c \leq x \end{cases}$$

სადაც  $a, b$  და  $c$  რიცხვითი პარამეტრებია, რომლებიც იღებენ

რაიმე ნამდვილ მნიშვნელობებს შემდეგი დამოკიდებულებებით  $a \leq b \leq c$ . ამ შემთხვევაში, პარამეტრების მნიშვნელობებია  $a$  და  $c$  ახასიათებენ სამკუთხედის ფუძეს, ხოლო პარამეტრი  $b$  - მის წვეროს.

წარმოვადგინოთ ეს სამკუთხა მიკუთვნების ფუნქცია პითონში: უპირველეს ყოვლისა, ჩავტვირთოთ საჭირო მოდულები.

```
import numpy as np
from skfuzzy.membership import *
from matplotlib import pyplot as plt
```

Numpy - მიკუთვნების ფუნქციის არგუმენტთა სიმრავლის შესაქმნელად; skfuzzy.membership-ში კი მოთავსებულია ის ძირითადი მიკუთვნების ფუნქცია, რომელსაც განვიხილავთ. Matplotlib-ი კი დაგვებმარება მიკუთვნების ფუნქციათა გრაფიკების აგებაში. Scikitfuzzy-ში სამკუთხა ფუნქცია აღინიშნება trimf-ით (trimf(x, abc)), რომელსაც გადაეცემა ორი არგუმენტი: პირველი - არგუმენტების სიმრავლე, ხოლო მეორე - სამელებმენტის ლისტი, რომელიც შეიცავს სამკუთხედის წვეროების შესაბამის წერტილებს არგუმენტთა სიმრავლიდან.



ჯერ ავაგოთ არგუმენტთა სიმრავლე Numpy-ს `arange` ფუნქციის გამოყენებით:

```
x = np.arange(0,10,0.1)
```

x ცვლადს მიენიჭება 101 ელემენტური ლისტის მნიშვნელობა, რომელიც შეიცავს ზრდადობით დალაგებულ ნამდვილ რიცხვებს 0-დან 10-ის ჩათვლით, 0.1 ბიჯით.

```
array([ 0. ,  0.1,  0.2,  0.3,  0.4,  0.5,  0.6,  0.7,  0.8,
        0.9,  1. ,  1.1,  1.2,  1.3,  1.4,  1.5,  1.6,  1.7,
        1.8,  1.9,  2. ,  2.1,  2.2,  2.3,  2.4,  2.5,  2.6,
        2.7,  2.8,  2.9,  3. ,  3.1,  3.2,  3.3,  3.4,  3.5,
        3.6,  3.7,  3.8,  3.9,  4. ,  4.1,  4.2,  4.3,  4.4,
        4.5,  4.6,  4.7,  4.8,  4.9,  5. ,  5.1,  5.2,  5.3,
        5.4,  5.5,  5.6,  5.7,  5.8,  5.9,  6. ,  6.1,  6.2,
        6.3,  6.4,  6.5,  6.6,  6.7,  6.8,  6.9,  7. ,  7.1,
        7.2,  7.3,  7.4,  7.5,  7.6,  7.7,  7.8,  7.9,  8. ,
        8.1,  8.2,  8.3,  8.4,  8.5,  8.6,  8.7,  8.8,  8.9,
        9. ,  9.1,  9.2,  9.3,  9.4,  9.5,  9.6,  9.7,  9.8,
        9.9, 10. ])
```

შემდეგ გამოვიძახოთ `trimf` ფუნქცია, რომელსაც არგუმენტად გადავცემთ x ლისტს და წვეროს წერტილებს.

```
y = trimf(x, [2,4,7])
```

ყოფნება ასევე 101 ელემენტური ლისტი, რომელიც შეიცავს x აბსცისების შესაბამის ორდინატებს.



$$f_T(x, a, b, c, d) = \begin{cases} 0, & x \leq a \\ \frac{x-a}{b-a}, & a \leq x \leq b \\ \frac{d-x}{d-c}, & c \leq x \leq d \\ 0, & d \leq x \end{cases}$$

სადაც,  $a, b, c, d$  რიცხვითი პარამეტრებია, რომლებიც

იღებენ რაიმე ნამდვილ მნიშვნელობებს შემდეგი დამოკიდებულებებით:  $a \leq b \leq c \leq d$ .

სურათზე მოცემულ შემთხვევაში, პარამეტრების მნიშვნელობებია  $a=1, b=3, c=5, d=8$ .


$a$  და  $d$  პარამეტრები ახასიათებენ ტრაპეციის ქვედა ფუძეს, ხოლო  $b$  და  $c$  ზედა ფუძეს. Scikit-fuzzy-ს აქვს ტრაპეციული `trapmf` ფუნქცია, რომელსაც გადაეცემა ორი პარამეტრი: პირველი – არგუმენტების ლისტი, ხოლო მეორე – ოთხელემენტისანი ლისტი, რომელიც შეიცავს ტრაპეციის წვეროების შესაბამის მნიშვნელობებს არგუმენტთა სიმრავლიდან.

გამოვთვალოთ  $y$  მიკუთვნების ფუნქციათა მნიშვნელობები  $x$  ლისტის ელემენტებისთვის:

```
y = trapmf(x, [1, 3, 5, 8])
```

და ავაგოთ შესაბამისი გრაფიკი:

```
plt.plot(x, y)
plt.show()
```




## Z - მაგვარი და S-მაგვარი მიკუთვნების ფუნქციები

მიკუთვნების ასეთმა ფუნქციებმა თავიანთი დასახელება ასევე მათი მრუდების გრაფიკების გამო მიიღეს. პირველს, ამ ფუნქციათა ჯგუფიდან, ეწოდება Z-მაგვარი მრუდი, ან სპლაინ ფუნქცია და ზოგად შემთხვევაში, ანალიზურად შეიძლება იყოს მოცემული შემდეგი გამოსახულებით:

$$f_{Z_2}(x, a, b) = \begin{cases} 1, & x \leq a \\ 1 - 2\left(\frac{x-a}{b-a}\right)^2, & a < x \leq \frac{a+b}{2} \\ 2\left(\frac{b-x}{b-a}\right)^2, & \frac{a+b}{2} < x < b \\ 0, & b \leq x \end{cases}$$

სადაც  $a$  და  $b$  რიცხვითი პარამეტრებია.  $a, b \in \mathbb{R}$  და  $a < b$ . დავუშვათ,  $a = 3, b = 6$  და ავაგოთ ეს ფუნქცია python-ით იგივენაირად, როგორც წინა ფუნქციები. ამისთვის scikit-fuzzy-ში გვაქვს zmf ფუნქცია:

```
y = zmf(x, 3, 6)
plt.plot(x, y)
plt.show()
```




ამ ჯგუფიდან მეორე ფუნქციას ეწოდება S-მაგვარი მრუდი ან სპლაინ ფუნქცია და ზოგად შემთხვევაში ანალიზურად შეიძლება იყოს მოცემული შემდეგი გამოსახულებით:

$$f_{S_1}(x, a, b) = \begin{cases} 0, & x < a \\ \frac{1}{2} + \frac{1}{2} \cos\left(\frac{x-b}{b-a} \pi\right), & a \leq x \leq b \\ 1, & x > b \end{cases} \quad a, b \in \mathfrak{R}, a < b$$

ვთქვათ,  $a = 3, b = 6$ , მაშინ:

```
y = smf(x, 3, 6)
plt.plot(x, y)
plt.show()
```



ეს ფუნქცია ასევე შესაძლოა მოცემული იყოს სხვა გამოსახულებით:

$$f_{S_2}(x, a, b) = \begin{cases} 0, & x \leq a \\ 2\left(\frac{x-a}{b-a}\right)^2, & a < x \leq \frac{a+b}{2} \\ 1 - 2\left(\frac{b-x}{b-a}\right)^2, & \frac{a+b}{2} < x < b \\ 1, & b \leq x \end{cases}$$


Z - მაგვარ და S-მაგვარ მიკუთვნების ფუნქციათა ჯგუფში შედის ეგრედ წოდებული სიგმოიდური ფუნქციაც, რომელსაც შეუძლია იყოს როგორც S-მაგვარი, ასევე Z - მაგვარიც და გამოიყურება შემდეგნაირად:

$$f_{S_3}(x, a, b) = \frac{1}{1 + e^{-a(x-b)}} \quad a, b \in \mathfrak{R}, a < b$$


და თუ  $a > 0$  შეიძლება მიღებულ იქნას S-მაგვარი მიკუთვნების ფუნქცია, ხოლო თუ  $a < 0$  – Z-მაგვარი მიკუთვნების ფუნქცია.

scikit-fuzzy-ში გვაქვს `sigmf(x,b,a)` ფუნქცია:

```
y = sigmf(x, 6, 3)
plt.plot(x, y)
plt.show()
```



```
y = sigmf(x, 6, -3)
plt.plot(x, y)
plt.show()
```



### $\pi$ -მაგვარი მიკუთვნების ფუნქციები

მიკუთვნების ამ ტიპის ფუნქციებს მიეკუთვნება მრუდების მთელი კლასი, რომლებიც თავისი ფორმით ტრაპეციას, ზარს ან ასო  $\pi$ -ს ემსგავსებიან.

ერთ-ერთი ასეთი ფუნქციამიიღება Z - მაგვარი და S-მაგვარი ფუნქციების ნამრავლი და ჩაიწერება შემდეგი გამოსახულებით:


$$f_{\pi}(x, a, b, c, d) = f_S(x, a, b) \cdot f_Z(x, c, d)$$

$a, b, c, d \in \mathfrak{R}$ ,  $a \leq b \leq c \leq d$  ხოლო ნიშანი „ $\cdot$ “ ნიშნავს შესაბამისი ფუნქციების მნიშვნელობების ჩვეულებრივ, არითმეტიკულ ნარმრავლს. ავაგოთ ერთ-ერთი ასეთი ფუნქცია, ვთქვათ  $a = 1, b = 4, c = 5, d = 9$ . scikit-fuzzy-ში გვაქვს `pimf(x,a,b,c,d)` ფუნქცია:

```

y = pimf(x, 1, 4, 5, 9)
plt.plot(x, y)
plt.show()


```



### ზღურბლოვანი ფუნქციები

ეს არის მარტივ ფუნქციათა კლასი, რომელიც იღებს ორ მნიშვნელობას. ამ შემთხვევაში, განვიხილავთ ისეთ ზღურბლოვან ფუნქციებს, რომლებიც იღებენ 0 და 1 მნიშვნელობებს.

$$f(x, \theta) = \begin{cases} 0, & x < \theta \\ 1, & x \geq \theta \end{cases}$$



### მიკუთვნების ფუნქციის არჩევა აპლიკანტთა შერჩევის ამოცანისთვის

მიკუთვნების ფუნქციის არჩევისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავანალიზოთ ის შემავალი მონაცემები, რომლებიც შეგვიძლია ჩვენი მონაცემთა ბაზიდან მივიღოთ. ცხადია, მიკუთვნების ფუნქცია უნდა შეირჩეს ვაკანსიის გამომცხადებელი მომხმარებლისთვის,

რადგან სწორედ მას სჭირდება, შეარჩიოს სასურველი კადრი წინასწარ განსაზღვრული მონაცემების მიხედვით. ფუნქციამ უნდა შეძლოს აპლიკანტის რანჟირება მისი თვისებებიზე დაყრდნობით.


მონაცემთა ბაზაში გვაქვს ორი ვაკანსიის გამომცხადებლის მიერ მოთხოვნილ „გამოცდილებებში“ გვაქვს სამი ნიშნელობა: min\_value, max\_value და priority. აქედან გამომდინარე, უნდა შევარჩიოთ ისეთი მიკუთვნების ფუნქცია, რომლის ფორმულირებაც ორი მუდმივი მნიშვნელობით შეგვეძლება. ასეთი ფუნქციებია Z-მაგვარი და S-მაგვარი ფუნქციები. ასევე, შეგვიძლია გარკვეული მათემატიკური მანიპულაციების ხარჯზე, ამ ორი, მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობით, გამოვიყვანოთ კიდევ დამატებითი მნიშვნელობები და, შესაბამისად, ამოცანისთვის განვიხილოთ სხვა მიკუთვნების ფუნქციები, როგორებიცაა მაგალითად ტრაპეციული, სამკუთხა ან  $\pi$ -მაგვარი მიკუთვნების ფუნქციები.

1) როცა ვაკანსიის ავტორი უთითებს მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობას:

განვიხილოთ S მაგვარი ფუნქცია იმ ზემოთ მოცემული, მოთხოვნილი „გამოცდილების“ მიხედვით, სადაც ვაკანსიის ავტორისთვის სასურველია, რომ აიყვანოს ისეთი კადრი, რომელმაც იცის 3-დან 9-ის ჩათვლით პროგრამირების ენა. თუ მის მიერ დასახელებულ მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს გამოვიყენებთ, S-მაგვარი ფუნქციის პარამეტრებად, მაშინ მივიღებთ ასეთ სურათს:

$$f_{S_i}(x, a, b) = \begin{cases} 0, & x < a \\ \frac{1}{2} + \frac{1}{2} \cos\left(\frac{x-b}{b-a} \pi\right), & a \leq x \leq b \\ 1, & x > b \end{cases} \quad a, b \in \mathfrak{R}, a < b$$






მიკუთვნების ფუნქციის შერჩევის მთავარი იდეა ის არის, რომ მის მიერ დაბრუნებული მნიშვნელობა მით უფრო ახლოს უნდა იყოს ერთთან, რამდენადაც არგუმენტად გადაცემული მნიშვნელობა ხელსაყრელია აპლიკაციის ავტორისათვის. ამ შემთხვევაში, თუ ფუნქცია, შეაფასებს 6 პროგრამული ენის მცოდნე აპლიკანტს, მისი შეფასება იქნება 0.5 ( $f_{s_1}(6,3,9) = 0.5$ ), რაც ნამდვილად არალოგიკურია, რადგან როცა ვაკანსიის ავტორი სასურველ მნიშვნელობათა შუალედს ასახელებს, თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისთვის სასურველი არ იქნება ის მნიშვნელობები, რომლების მის მიერ დასახელებული შუალედის საზღვრებთან ახლოს მდებარეობს, არემედ ის მნიშვნელობები, რომლებიც შუალედის შუა ნაწილთან არიან ახლოს. ამისთვის საჭიროა შევარჩიოთ ისეთი ამოზნექილი ფუნქცია, რომლებიც დასახელებული შუალედის საზღვრებში მინიმალურ მნიშვნელობებს იღებენ. ასეთი ფუნქციებია ტრაპეციული, სამკუთხა და  $\pi$ -მაგვარი ფუნქციები, თუმცა ჩვენ მხოლოდ ორი სტატისკური მნიშვნელობა გვაქვს ამ ფუნქციების რეალიზაციისთვის, ამ ფუნქციებს კი, შესაბამისად, სჭირდებათ, ოთხი, სამი და ოთხი სტატისკური მნიშვნელობა. ამიტომ დაგვჭირდება გარკვეული მანიპულაციები, რომ ამ ორი min\_value და max\_value მნიშვნელობით, სამი, ან ოთხი მნიშვნელობა მივიღოთ.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მოხერხებულად სამკუთხა მიკუთვნების ფუნქციის გამოყენება შეგვიძლია, რადგან მარტივად შეგვიძლია მივიღოთ ფუნქციის  $b$  წვეროს მნიშვნელობა, არითმეტიკული საშუალოს გამოთვლით. აქედან გამომდინარე, წვეროების მნიშვნელობები იქნება.

$$\begin{array}{ll}
 a = \text{min\_value} & a = 3 \\
 c = \text{max\_value} & \Rightarrow c = 9 \\
 b = \frac{a+c}{2} & b = 6
 \end{array}$$

ხოლო ფუნქციას ექნება შემდეგი სახე:



ეს ფუნქცია უკვე ლოგიკურად შეაფასებს 6 პროგრამირების ენის მცოდნე აპლიკანტს.

$$\text{trimf}(6, a, b, c) = 1$$

2) როცა მომხმარებელი უთითებს მხოლოდ მინიმალურ მნიშვნელობას:

ასეთ შემთხვევაში უმჯობესია გამოვიყენოთ ზღურბლოვანი ფუნქცია, სადაც ეგრედ წოდებული „ზღურბლი“ ვაკანსიის ავტორის მიერ დადგენილი „მინიმალური მნიშვნელობა“ (min\_value) იქნება. თუ ფუნქციის არგუმენტი min\_value-ზე მეტია, ფუნქციის მნიშვნელობა იქნება 1, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში - 0.

ზემოთ მოყვანილ მაგალითში, ვაკანსიის ავტორი ითხოვს რომ აპლიკანტს ჰქონდეს ინტელექტუალურ სისტემებზე მუშაობის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება. ამიტომ ჩვენ მიერ არჩეული ზღურბლოვანი ფუნქციის „ზღურბლი“ იქნება 1.

### თავი III. აპლიკაციათა რანჟირება

#### აგრეგატული ფუნქციები

ზოგადად, მათემატიკური ფუნქცია აღინიშნება როგორც  $y = f(x)$  სადაც  $x$  არგუმენტია, ხოლო  $y$  ფუნქციის მნიშვნელობა. არგუმენტი შესაძლოა იყოს  $n$ -განზომილებიანი ვექტორი  $x = (x_1, x_2, \dots, x_n)$  სადაც  $x_1, x_2, \dots, x_n$  ვექტორის კომპონენტებია.

$f$  ფუნქცია შეიძლება მრავალნაირად იყოს წარმოდგენილი:

- როგორც ალგებრული გამოსახულება
- როგორც ფუნქციის გრაფიკი
- როგორც ვერბალურად გადმოცემული ბიჯების თანმიმდევრობა
- როგორც მონაცემთა გარკვეული ცხრილი
- როგორც რაიმე განტოლების ამონახსნი

აგრეგატული ფუნქცია არის განსაკუთრებული მახასიათებლების მქონე ფუნქცია, რომელსაც არგუმენტად გადაეცემა გარკვეულ მნიშვნელობათა ერთობლიობა და გამოსავალი მნიშვნელობა მხოლოდ ერთი.  $f : \mathbb{R}^2 \rightarrow \mathbb{R}$  ამჯერად განვიხილოთ აგრეგატული ფუნქცია  $[0,1]$  ინტერვალში:  $f : [0,1]^2 \rightarrow [0,1]$ .

მოვიყვანოთ აგრეგატული ფუნქციის გამოყენების მარტივი მაგალითი:

მაგალითად, გვაქვს ორი (ან მეტი) ალტერნატივა რაიმე გადაწყვეტილების მიღებისას და  $n$  კრიტერიუმი თითოეული შესაძლებლობის შესაფასებლად. აღვნიშნოთ ალტერნატიული ვარიანტები მახასიათებელთა ორი განსხვავებული ვექტორით,  $x = (x_1, x_2, \dots, x_n)$  და  $y = (y_1, y_2, \dots, y_n)$ . ჩვენი მიზანია ამ მახასიათებელთა დამუშავება რაიმე  $f$  აგრეგატული ფუნქციით, რომელიც გარკვეული პრინციპით გამოითვლის  $f(x_1, x_2, \dots, x_n)$  და  $f(y_1, y_2, \dots, y_n)$ -ს და საშუალებას მოგვცემს მიღებული მნიშვნელობების მიხედვით, ამოვარჩიოთ საუკეთესო ვარიანტი.

ეს მაგალითი ზუსტად ესადაგება ნაშრომში აღწერილ ამოცანას, რადგან, ამ შემთხვევაში, ჩვენი მიზანია მათემატიკურად დავამუშავოთ მიღებული აპლიკაციები. ერთი მხრივ, გვაქვს ვაკანსიის ავტორის მიერ წამოჭრილი მოთხოვნები, ხოლო მეორე მხრივ ამ მოთხოვნების შესაბამისი მნიშვნელობები, რომლებიც ზემოთ აღწერილი მიკუთვნების ფუნქციებით დამუშავდება, ხოლო ამ დამუშავებული მნიშვნელობებისთვის უკვე საჭიროა, შევარჩიოთ აგრეგატული ფუნქცია, საბოლოო დასკვნის გამოსატანად. მოცემული ამოცანისთვის აგრეგატული ფუნქციების როლს მოგვიანებით განვიხილავთ, მანამდე კი წარმოვადგინოთ ყველაზე პოპულარული და გავრცელებული აგრეგატული ფუნქციები:

- *საშუალო არითმეტიკული*

$$f_n(x) = \frac{1}{n}(x_1 + x_2 + \dots + x_n)$$

- *შეწონილი საშუალო არითმეტიკული*

$$M_w(x) = \frac{\sum_{i=1}^n w_i x_i}{\sum_{i=1}^n w_i}$$

$$w = (w_1, w_2, \dots, w_n), w_i \in [0,1]$$

- *საშუალო გეომეტრიული*

$$f_n(x) = \sqrt[n]{x_1 x_2 \cdots x_n}$$

- *საშუალო ჰარმონიული*

$$f_n(x) = \frac{n}{\frac{1}{x_1} + \frac{1}{x_2} + \dots + \frac{1}{x_n}}$$

- მინიმუმი

$$\min(x) = \min\{x_1, \dots, x_n\}$$

- მაქსიმუმი

$$\max(x) = \max\{x_1, \dots, x_n\}$$

- ნამრავლი

$$f_n(x) = \prod_{i=1}^n x_i$$

- შემოსაზღვრული ჯამი

$$f_n(x) = \min\{1, \sum_{i=1}^n x_i\}$$

## აგრეგატული ფუნქციების ძირითადი კლასები

აგრეგატული ფუნქციები იყოფიან გარკვეული კლასების მიხედვით და ესენია: კრებითი, კონიუნქციური, დიზიუნქციური და შერეული აგრეგატული ფუნქციები.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

- კრებითი აგრეგატული ფუნქციები (*Averaging Aggregation Functions*)

აგრეგატული ფუნქცია  $f$ -ს აქვს კრებითი ხასიათი (ან არის კრებითი) თუ ის ნებისმიერი  $x$  ვექტორისთვის შემოსაზღვრულია შემდეგნაირად:

$$\min(x) \leq f(x) \leq \max(x)$$

- კონიუნქციური აგრეგატული ფუნქციები (*Conjunctive Aggregation Functions*)

აგრეგატული ფუნქცია  $f$ -ს აქვს კონიუნქციური ხასიათი (ან არის კონიუნქციური) თუ ის ნებისმიერი  $x$  ვექტორისთვის შემოსაზღვრულია შემდეგნაირად:

$$f(x) \leq \min(x)$$

- დიზიუნქციური აგრეგატული ფუნქციები (*Disjunctive Aggregation Functions*)

აგრეგატული ფუნქცია  $f$  -ს აქვს დიზიუნქციური ხასიათი (ან არის დიზიუნქციური) თუ ის ნებისმიერი  $x$  ვექტორისთვის შემოსაზღვრულია შემდეგნაირად:

$$f(x) \leq \max(x)$$

- შერეული აგრეგატული ფუნქციები (*Mixed Aggregation Functions*)

შერეული აგრეგატული ფუნქციები ისეთ აგრეგატულ ფუნქციებს ეწოდებათ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ზემოთ აღწერილ არცერთ კლასს.

## აგრეგატული ფუნქციების ძირითადი თვისებები

აგრეგატული ფუნქციებისთვის ასევე გამოყოფენ რამდენიმე ძირითად თვისებებს:

- იდემპოტენტურობა

აგრეგატული ფუნქცია  $f$  არის იდემპოტენტური, თუ ნებისმიერი  $x = (t, t, \dots, t)$  -სთვის  $f(x) = t$ .

მაგალითად, საშუალო არითმეტიკული არის კრებითი იდემპოტენტური აგრეგატული ფუნქცია, ისევე, როგორც საშუალო გეომეტრიული. ხოლო ნამრავლი არის კონიუნქციური აგრეგატული ფუნქცია.

- სიმეტრიულობა

სიმეტრიული აგრეგატული ფუნქცია  $f$ , თუ არგუმენტების ნებისმიერი პერმუტაციისთვის შესრულდება ტოლობა:

$$f(x_1, \dots, x_n) = f(x_{p(1)}, \dots, x_{p(n)})$$

მაგალითად, არითმეტიკული და გეომეტრიული საშუალო სიმეტრიული აგრეგატული ფუნქციებია.

- ნეიტრალური ელემენტი

$f$  აგრეგატულ ფუნქციას აქვს ნეიტრალური ელემენტი  $e \in [0,1]$  თუ ყოველი  $t \in [0,1]$  სთვის, ნებისმიერ პოზიციაზე, შესრულდება:

$$f(e, \dots, e, t, e, \dots, e) = t$$

- ანიჰილატორი (ეგრედ წოდებული შთანმთქმელი ელემენტი)

$f$  აგრეგატულ ფუნქციას აქვს შთანმთქმელი ელემენტი  $a \in [0,1]$  თუ  $f(x_1, \dots, x_{i-1}, a, x_{i+1}, \dots, x_n) = a$

თუ აგრეგატულ ფუნქციას აქვს ანიჰილატორი, იგი უნიკალურია და ის შეიძლება იყოს ნებისმიერი რიცხვი  $[0,1]$  შუალედიდან. კონიუნქციური აგრეგატული ფუნქციების შემთხვევაში  $a = 0$ , ხოლო დიზიუნქციურის შემთხვევაში  $a = 1$ .

## აგრეგატული ფუნქციის შერჩევა

სანამ გადავალთ უშუალოდ მოცემული ამოცანისთვის აგრეგატული ფუნქციის შერჩევაზე, უპირველეს ყოვლისა, შემოვიღოთ მათემატიკური აღნიშვნები ამოცანის ზოგიერთი კომპონენტისთვის. ვთქვათ, გვაქვს აპლიკაციათა სიმრავლე:

$$A = \{a_1, a_2, \dots, a_n\}$$

ხოლო თითოეული  $a_i$  ელემენტს, ანუ თითოეულ აპლიკაციას შეესაბამება თვისებათა გარკვეული სიმრავლე, რომლის ზომაც ფიქსირებულია და შეესაბამება ვაკანსიის ავტორის მიერ დადგენილი მოთხოვნების რაოდენობას.



$$X_{(a_n)} = \{x_1^{(a_i)}, x_2^{(a_i)}, \dots, x_m^{(a_i)}\}$$

ზემოთ მოყვანილი მაგალითის შემთხვევაში, X სიმრავლე იქნება 3 ელემენტიანი ( $m=3$ ), რომლებიც შესაბამისად გამოხატავენ პროგრამირების ენების რაოდენობას, ინტელექტუალურ სისტემებზე მუშაობის გამოცდილებას წლებში და ასაკს. ანუ  $X_{(a_i)} = \{7,2,23\}$

თითოეული თვისება ფასდება მიკუთვნების ფუნქციებით, რომელის აღწერაც ხდება იმ ლოგიკით, რომელიც ზემოთაა აღწერილი და რეალურად მივიღებთ მიკუთვნების ფუნქციათა მნიშვნელობების სიმრავლეს მოცემული თვისებებისათვის:

$$\mu(X_{(a_i)}) = \{\mu(x_1^{(a_i)}), \mu(x_2^{(a_i)}), \dots, \mu(x_m^{(a_i)})\}$$

სწორედ ამ სიმრავლისთვისაა საჭირო აგრეგატული ფუნქციის შერჩევა, რათა მისი გამოყენებით შევძლოთ თითოეული აპლიკაციის შეფასება, ყველა თვისების გათვალისწინებით.

ჩვენ გვაქვს ძალიან ფართო არჩევანი აგრეგატული ფუნქციის შერჩევისათვის, ისინი იყოფიან უამრავ ოჯახებად, როგორებიცაა, მაგალითად, სამკუთხა ნორმები და კონორმები, ჩოკეს და სუგენოს ინტეგრალები და მრავალი სხვა. აგრეგატული ფუნქციის შერჩევამდე ჩნდება უამრავი კითხვა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია იმ ამოცანასთან, რომლისთვისაც ვირჩევთ ამ აგრეგატულ ფუნქციას, მაგალითად, უშუალოდ შერჩევის გარდა, ისიც გასარკვევია, იქნება თუ არა საკმარისი ერთი აგრეგატული ფუნქცია დასახული ამოცანისთვის. უპირველეს ყოვლისა აგრეგატული ფუნქცია თავსებადი უნდა იყოს თვითონ აგრეგაციის პროცედურის სემანტიკასთან. გათვალისწინებული უნდა იყოს მოცემული ამოცანისთვის აგრეგატული ფუნქციის კონიუნქციურობაა საჭირო, დიზიუნქციურობა, კრებითობა თუ სიმეტრიულობა; საჭიროა ჰქონდეს ნეიტრალური, თუ შთანმთქმელი ელემენტი? ჩვენს, აპლიკაციების შერჩევის ამოცანაში გვაქვს რამდენიმე მკვეთრად გამოკვეთილი მახასიათებელი: აგრეგატულ ფუნქციას უნდა ჰქონდეს კრებითი ხასიათი, რადგან ზემოთ ჩვენ მიერ შერჩეულმა მიკუთვნების ფუნქციებმა შეიძლება მიიღონ მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობაც მნიშვნელობათა სიმრავლიდან, ანუ 0 და 1, ხოლო ვინაიდან ჩვენ გვინდა რომ აგრეგატული ფუნქციის მნიშვნელობა  $[0,1]$  შუალედში იყოს, ამიტომ იგი კრებითი უნდა იყოს. იგი უნდა იყოს სიმეტრიული, რადგან მომხმარებელმა, შესაძლოა, ნებისმიერი თანმიმდევრობით დაამატოს სისტემაში მოთხოვნები საკუთარ ვაკანსიაზე;

ასევე უნდა ავარჩიოთ ისეთი აგრეგატული ფუნქცია, რომელსაც არ ექნება ანიჰილატორი, რადგან ფუნქციის არგუმენტთა ნებისმიერი მნიშვნელობისთვის ჩვენი მიზანია, აგრეგატული ფუნქციის მნიშვნელობა დამოკიდებული იყოს ყველა არგუმენტზე და არა რომელიმე ერთ-ერთზე. ზემოთ ჩამოთვლილ, ყველაზე გავრცელებულ აგრეგატულ ფუნქციათაგან, აღნიშნულ პირობებს აკმაყოფილებს საშუალო არითმეტიკული და ვინაიდან, შესაძლებელია ვაკანსიის ავტორმა თავის დადგენილ მოთხოვნებს პრიორიტეტებიც მიანიჭოს, ამიტომ გამოვიყენოთ შეწონილი საშუალო არითმეტიკული.

აქედან გამომდინარე, ვითვლით შეწონილ საშუალო არითმეტიკულს  $\mu(X_{(a_i)})$ -სთვის:

$$M_w(\mu(X_{(a_i)})) = \frac{\sum_{j=1}^n \mu(x_j^{(a_i)}) w_j}{\sum_{j=1}^n w_j}$$

რის შედეგადაც მივიღებთ კონკრეტული აპლიკაციის გარკვეულ შეფასებას  $[0,1]$  შუალედიდან. ამ პრინციპით შევაფასებთ ვაკანსიაზე მოსულ თითოეულ აპლიკაციას და უკვე ვდგებით კიდევ ერთი აგრეგატული ფუნქციის შერჩევის წინაშე, თუმცა ამ შემთხვევაში, საქმე უფრო მარტივადაა, ჩვენ ვეძებთ ისეთ აპლიკაციას რომლის ეგრედ წოდებული „შეფასება“ იქნება ყველაზე მაღალი, ანუ ამ პრინციპით ჩვენ უნდა გამოვავლინოთ „საუკეთესო“, ხელსაყრელი აპლიკაცია. ამიტომ ყველაზე ლოგიკური იქნება თუ ავიღებთ max აგრეგატულ ფუნქციას.

ახლა კი ფორმულირებულად შევაჯამოთ რანჟირების მთელი ეს პროცესი:

გვაქვს აპლიკაციათა სიმრავლე

$$A = \{a_1, a_2, \dots, a_n\}$$

თვისებათა სიმრავლეების სიმრავლე:

$$X_A = \{X_{(a_1)}, X_{(a_2)}, \dots, X_{(a_n)}\}$$

თვისებათა სიმრავლე:

$$X_{(a_i)} = \{x_1^{(a_i)}, x_2^{(a_i)}, \dots, x_m^{(a_i)}\}$$

შემდეგ გამოვითვალოთ მიკუთვნების ფუნქციის მნიშვნელობები თვისებებისთვის:

$$\mu(X_{(a_i)}) = \{\mu(x_1^{(a_i)}), \mu(x_2^{(a_i)}), \dots, \mu(x_m^{(a_i)})\}$$

მიღებულ სიმრავლეს ვუკეთებთ აგრეგირებას შეწონილი საშუალო არითმეტიკულით:

$$M_w(\mu(X_{(a_i)})) = \frac{\sum_{j=1}^n \mu(x_j^{(a_i)}) w_j}{\sum_{j=1}^n w_j}$$

ვითვლით აგრეგატულ მნიშვნელობებს თვისებათა თითოეული სიმრავლისთვის :

$$M_w(\mu(X_A)) = \{M_w(\mu(x_{(a_1)})), M_w(\mu(x_{(a_2)})), \dots, M_w(\mu(x_{(a_n)}))\}$$

და ბოლოს ვიღებთ მაქსიმალურ მნიშვნელობას მიღებული სიმრავლიდან  $\max(M_w(\mu(X_A)))$ , რომელიც შეესაბამება პირობითად ყველაზე ხელსაყრელ აპლიკაციას.

## თავი IV. გადაწყვეტილების მიღების სისტემის პროგრამული იმპლემენტაცია

